# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ჰეგნისმეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ჩოლოყაშვილის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ეხლოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“ „Иверія“

„დროება“—„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებაა“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ორ სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

დავით ზაქარიას ძე სარაჯოვი და ქ-ნა მარიამ ზაქარიას ასული ერისთვისა გულითადი მწუხარებით აცნობებენ თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს მათის მამის, ზაქარია დავითის ძის სარაჯოვის გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებისათვის შაბათს, 31 მაისს, დილის 9 საათზედ საკუთარის სახლიდამ კალოუბანის საყდარში. პანაშვიდს გადიხდიან პარასკევს, 30 მაისს, საღამოს 7 საათზედ.

(2—2)

# დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად 1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ („ივერიის“ სამი წიგნი) ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

—

(სალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 28 მაისს.** ეს არის ზარბაზნების და თოფების სროლამ აუწყა პეტერბურღს მიცვალებულ იმპერატრიცის დასაფლავება, რომელიც თანახმად ცერემონიალისა სისრულეში მოიყვანეს პეტრე-პავლეს სობოროში.

**ათინა, 28 მაისს.** საფრანგეთის ესკადრა (სამხედრო ხომალდები) გუშინ გავიდა პირეიდამ და ბეზიკის ბოღოზში მივიდა, სადაც მივლენ ამ მოკლე ხანში იტალიის და ინგლისის ესკადრებიც.

**სტამბოლი, 28 მაისს.** პირველ მინისტრად დაინიშნა ყადრი-ფაშა და უცხო საქმეთა მინისტრად—აბედინ-ფაშა, რომელიც აგრეთვე დიდ-ვეზირად იქმნება.

**პეტერბურღი, 29 მაისს.** მ. ი. უ. დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე გუშინ წაბრძანდა თფილისში.

## საფრანგეთის პალატი და პარიჟის რჩევა.

ტფილისი, 30 მაისს.

ძნელი საქმე დაემართა ამას წინათ პარიჟის პოლიციის პრეფეკტს (პოლიცმეისტერს)—ანდრიეს. უეცრად, მოულოდნელად ორი ბატონი ამოუჩნდა: ერთია მთელის საფრანგეთის წარმომადგენელთა პალატი და მეორე—პარიჟის წარმომადგენელთა რჩევა, რომელსაც ისეთივე უფლება აქვს პარიჟში, როგორც, მაგ. თბილისის რჩევას თბილისში. ერთი-ერთს უბძანებდა, მეორე—მეორეს და ჯერეთაც ეს გაწეწ-გამოწეწა არ გათავებულა.

რაზედ მოხდა ეს ამბავი?

11 მაისს მრავალმა ხალხმა პირი შეჰკრა სასაფლაოზედ წავიდეთ და იმ ალაგას, სადაც 1871 წ. კომუნარები დახვრიტეს, დაფნის გვირგვინები, თაიგულები დავაწყოთო. დანიშნულს დღეს ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ ბასტილიის მოედანზედ დაუხვდა პრეფეკტი თავის სერჟანტებით და ხალხი მირეკ-მორეკა; რამდენიმე კაცი დაატუსაღეს, ზოგიერთი უცხო-ქვეყნელებიც: ნემეცები, შვეიცარიელები, ბელგიელები. ამბობენ, ორიოდე კიდეც დასჭრესო.

ეს უკანასკნელი ამბავი, იქნება ტყუილი იყოს, მაგრამ როშფორს წერილი მიუწერია შვეიცარიიდამ გაზეთს „*Mot d' ordre*“-ში, რომელშიაც ამბობს, ჩემი უფროსი შვილი ორგან დაჭრილი მომივიდა ჟენევაშიო; ის იდგა ბასტილის მოედანზედ და როდესაც თავის სადგომიდამ გამოვიდა ამადა-ამ პოლიცის სერჟანტს ორჯერ დაურტყამს ხმალი; ერთი—თავში, მეორე—მუცელშიო. როდესაც დავბრუნდები პოლიციის პრეფეკტს სილის გაურტყმელს არ გავუშვებო.

ამ ამეებმა აალელვა პარიჟის დეპუტატები პალატში და პარიჟის რჩევა. პირველთ შინაგან საქმეების მინისტრს საყვედური განუცხადეს და მეორემ მესამე დღესვე დაიბარა პოლიციის პრეფეკტი; პრეფეკტი ცდილობდა თავის გამართლებას კანონებზედ მითითებით; რჩევამ არ შეიწყნარა ეს თავის გამართლება და გაკიცხვა გამოუცხადა პრეფეკტს, რადგან იმან თავის ქცევით იმპერიის საზიზღარი დრო მოგვაგონაო.

მთავრობამ ეს გარდაწყვეტილება უკანონოთ სცნო და დაარღვია; პრეფეკტი უწესოთ არ მოქცეულა, რაც მოიქმედა, ყოველივე კანონის ძალით იყოო; კანონში სწერია პოლიციის პრეფეკტი ვალდებულია, ქუჩაში რომ ხალხი მოგროვდება რაიმე უწესოების მოსახდენად, დაშალოს ეს შეკრებილებაო.

ეს რომ შეიტყვეს ზოგიერთ რჩევის წევრთ შემდეგი წინადადება შემოიტანეს: რახან ეგრეა და ჩვენ ნება არა გვაქვს ჩვენს მოჯამაგირეებზედ—პოლიციის მოხელეებზედ ზედამხედველობა ვიქონიოთ, ჯამაგირი ამოვუკვეთოთ, მომავალის წლისთვის ნულარაფერს მივსცემთ პოლიციასაო. ეს წინადადება ცალკე კომისიას გადასცეს განსახილველად.

ერთი პარიჟელი გაზეთი ამბობს, პარიჟის რჩევა სწორედ ბავშსავით იქცევაო; როგორ შეუძლიან ერთის ქალაქის წარმომადგენელთ მთელის საფრანგეთის წარმომადგენლებთან ხმა ამოიღონო.

სწორედ ბავშვიც რომ იყოს პარიჟის რჩევა, ხანდის-ხან ბავშვმა ისეთი გაკვრპება იცის, რომ დიდები ვერც ჯავრობით, ვერც ალერსით ველარ დაამშვიდებენ და პარიჟის წარმომადგენელთ ამოღებათ თუ არი ხმა, ეგ უნდა ისტორიას ეკითხოს, რომელიც ამტკიცებს, რომ პარიჟი ხშირათ ყოფილა არა თუ მარტო საფრანგეთის, მთელის ევროპის თავად და ხშირად მარტო პარიჟს გაუცია პასუხი თითქმის მთელის საფრანგეთისთვის.

ამას გარდა ბიუდჟეტი—შემოსავალ-გასავალი—ისეთი იარაღია, რომლითაც მრავალს ულონოს ლონიერი დაუმარცხებია.

1877 წ. რომ საფრანგეთის კონსერვატიულმა სამინისტრომ უფლება ხელთ-იგდო და პალატი დაშალა, ხელმეორეთ ამორჩევა მოხდა; ამ ამორჩევამ მომეტებული ნაწილი უფრო რესპუბლიკელები გაგზავნა პალატში. პარლამენტურის წესით სამინისტროს აღვირი უნდა ხელიდან გაეშვა და რესპუბლიკელებისთვის ჩაებარებინა, მაგრამ უფლება ისე გაუტკბა, რომ მხოლოდ 14 დეკემბერს დაანება იმას თავი, როდესაც ნახა,

## ფელტონი

—

### წერილები აჭარიდამ

ვისაც უნდა, რომ ნახოს საარაკოსვე საიქიო, ნახოს აჭარა! აქ დაუხვდება სასუფეველის მსგავსი ყოველისფრით შემკული ბუნება, გაღმა-გამოღმა გაწოლილი მაღალი ტყიანი მთები, რომლებსაც მკლავი მკლავს გადაუღვიათ მაღალ ცას მიჰბჯენიან და მოწმობენ ჩვენ მიძინებულ ბედს... უველა ესენი ერთნაირი ოცნებით გაგიტაცებენ „სუბუქ ფრთითა“ და ამათაც თუ დაურთეურ მთას შუა მჩქეფარა მიმავალი წყალი, მაშინ მარტო დაგრჩება ინატრო ჩვენი უკვდავი პოეტის ბარათაშვილის თავი, ილ. ჭავჭავაძის გრძნობა და აკაკის ცოცხალი კალამი, რომ ბუნების მშვენიერებას შეასხა ქება და სხვა მოწყენილ დროს იმისივე თვალის გადავლებით კიდევ იოცნებო! აბა ჩვენისთანა მბლაჯაებს რომ ამისთანა საგნებზე წილათ გვერგება წერა, როგორ გნებავთ, რომ შევიძლოთ მკითხველების მოთხოვნილების დაკმაყოფილება!?..

იმ საშიშრებით რომ აგვიწერენ ჯოჯოხეთს, იმის მსგავსსაც ნახავთ აქ, აქაურ გაშმაგებულ ჩვენ მოძმე მაჰმადიან ქართველს, რომლების გული ჯოჯოხეთებრივი ცეცხლით და სასოწარკვეთილებით არის სავსე, ყელამდი გავსებული!

თუ როდისმე ხვედრი რომელიმე ხალხს იმისთანა ბედს არგუნებს, რა ბედიც მოუტანა ამ ქვეყანას უკანასკნელმა რუს-ოსმალოს ომმა, უკეთესი იქნება, ხვედრმა იმ ხალხს ერთი დღით ადრე მოუღოს ბოლო, რომ მაინც არ ხედავდეს უბედური მამა, თავის ძმის, დის, და წვრილ-შვილის ტანჯვას!..

რამოდენიმე საუკუნოს განმავალობაში ოსმალოს ძრიელმა მფლობელობამ, იმ ნაირი სიბრმავის ფარდა გარდააფარა თვალებზე და ჩვენმა ამ მოკლეს დროში ამისთანა კავშირმა და იმან, რომ არ ვიცოდით—თუ რა ნაირათ უნდა მოვქცეოდით ამ ხალხს, იმ გზაზე დააყენა ესენი, რომ აუღიათ თავი, აუხვევიათ თვალები და მიდიან წყალში ჩასაცვენლათ. არა აქვსთ იმედი, არა ჰყავთ დამშოშმანებელი და იმედის მიმცემი; არა აქვსთ საჭმელი, ბევრსაც აღარ აქვს ტანთ და ფეხთ-საცმელი; აღარა აქვს გული მუშაობაზე; ხედავს, დრო მიდის ხვნათესვისა, ხედავს წვრილ-შვილის შიმშილსა, ხედავს, რომ წასვლა უნდა, ვერ წასულა,—ვერ იმეტებს დასატოვათ თავის საყვარელ ქვეყანას. იეიწყებს მალე ამ სიყვარულს, კიდევ უნდა წასვლა! ხედავს, ოსმალოს მთავრობა აღარ ჰპატრონობს და არ უგზავნის გემებს გადასაყვანათ; ხედავს და ესმის უბედური ამბები, ცუდი ხმები მოდის წამსვლელებისაგანაც; ხედავს თავის შეძლებისას, იქ რომ წავიდეს, ერთ კვირას საჭმელათ არ ეყოფა, არა თუ წასასვლელ გემის ხარჯათ: ხედავს, რომ თავის ნახევარზე მეტი მოყვარე წასულა, ნახევარიც აპირებს წასვლას; რომ თითონ უნდა დარჩეს უნათესაოთ, უმოყვროთ და რომ დარჩეს არ იცის—ვისთან რჩება და რა შავი დღე მოელის!—უველა

თუ ასე არ მოქცეულიყო პალატი ბიუდჟეტს არ დაამტკიცებდა და 1878 წლისთვის მმართებლობა ულუკმა-პუროთ დარჩებოდა.

მ.

## ახალი ამბები

—

ხვალ, კვირას, 1 ივნისს, დილის ათ საათზე, Tფილისის სათავად-მამულო ბანკის ზალაში, იქნება „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრება.

* * *

მივაქცევთ ქალაქის გამგეობის ყურადღებას შემდეგ ამბავს:

გუშინ-წინ სოლოლაკის ქუჩაზედ ერთის მეფურნის წინ მრავალი ხალხი შეყრილიყო და მეფურნეს ეუბნებოდა, რატომ ტაქციაზედ არა ჰყიდი პურსა; აი Iირმუკაზედ ტაქციაზედ ჰყიდიანო; მეფურნე ეჩხუბებოდა ხალხსა და უყვიროდა, Iირმუკაზედ ბევრი მეფურნეები არიან და აქ კი ერთის მეტი არა ვარო.

ვისაც კი ხამს ნახავს, ეს მეფურნე წონაში ყოველთვის მოატყუებს: ორი გირვანქის მაგიერათ, გირვანქა ნახევარს აძლევს.

* * *

გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ მუშტაიდის იქით Dოლის მეიდანზედ კალიას ძალიან უხალისოთა სწყვეტენ; მუშათ სპარსელები არიან, რომელნიც ცოცხითა და ტილოთი მოგროვილის კალიის ჩასაყრელათ პატარა თხრილებსა სთხრიან და კალიას ისე ცოტა მიწას აყრიანო, რომ დიდ-ძალი კალია უკანვე, ზევით ამოდისო.

* * *

რუსულ გაზეთს „რუსის კურიერში“ დაბეჭდილია:

„ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამ ერთის თვის წინათ Tფილისიდამ მიღებული დეპეშა, რომ ბაქოს მახლობლად ბალახნის ნავთის წყაროებთან მიწებს ხაზინა რამდენსამე პირს ურიგებსო. ახლა ჩვენ გვაცნობებენ, რომ 10 დესიატინა ამ მიწისა უჩუქებიათ მთავარ სამმართველოს უფროსის ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკისათვის და ამას გარდა ამ მოკლე ხანში მიეცემათ მიწები კნიაგინა გაგარინისას და Tუმანოვისას და აგრეთვე თ. ვიტგენშტეინს. სულ ეს მიწები რამდენიმე მილიონად არის დაფასებული.“

ამ საგნის შესახებ ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. ვიტგენშტეინმა და კ-ნა გაგარინისამ უკვე მიიღეს ბალახნში ნავთის წყაროებიანი ადგილები, თითომ ხუთ-ხუთი დესიატინა.

* * *

ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ალექსანდროვის Iნსტიტუტის მეორე კლასის შაგირდისაგან კალმით დახატული სურათი, რომელიც წარმოადგენს ახლად მიცვალებულს სოფლის დედა-კაცს, რომელსაც თავის პატარა შვილი თავზედ დასტირის; მეორე მხრით ბავშვიანი აკვანი წაქცეულა.

Tუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს სურათი კალმით არის დახატული და ახალ მოსწავლე ყმაწვილისაგან, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ჩინებული რამ არის და ამის დამხატავს უეჭველი ნიჭი უნდა ჰქონდეს მხატვრობისა.

ეს ახალ-გაზდა მხატვარი, როგორც გვაცნობებენ, არის კახელი გლეხის შვილი ალ. მირიანაშვილი. სასურველია, რომ ამ ყმაწვილს მიეცეს საშუალება და ღონისძიება თავის ნიჭის შემუშავებისა...

* * *

Dღეს, 30 მაისს, დილის 10 საათზე, ჩაჰყარეს და აკურთხეს საძირკველი Tფილისის მომავალ დიდის თეატრის შენობისა.

* * *

მცხეთასა და საგურამოს შუა შემდეგის ღონით სწყვეტენ კალიას: იქ ჩამოდის ერთი ჩქარი ხევის წყალი, რომელშიაც კალია უნდა გავიდეს, თუ მეორე მხარეს მდებარე ყანების გაფუჭება უნდა. გლეხები დამდგარან ცოცხებით და უშლიან კალიას ნაპირზედ გასვლას. ამ წყალს მრავალი კალია ჩააქვს არაგვში და იქიდგან მტკვარში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სამაღარო**, 19 მაისს. წარსულს ქრისტეს აღდგომის წინა დღეებში მე გიახელით ს. მაღაროს, სადაც იმ ჟამად წირვები გამოსულიყო და მრავალი ხალხი გამოფენილიყო მოედანზედ. სხვათა შორის იმ ხალხში იყო ერთი ჩემი ნაცნობი კაცი, რომელმაც მისაყვედურა, რათ დაივიწყე ჩვენი მშვენიერი მაღაროო!.. მე მივუგე: სადღაა მაღაროს სიმშვენიერე? სადღა არიან ის მშვენივრათ ნაშენნი უწინდელი ქვით-კირის სახლები? სადღა არიან მშვენივრათ მაჩრდილებელნი დიდროვანი კაკლის ხეები? სადღა არიან ვენახები, ბაღები? რა არის მიზეზი მათის გამინდვრებისა?

ბერი-კაცმა მიპასუხა: პირველი მაგისი მიზეზი ტყის მცველებია (ლესნიჩი), მეორეც—ისინი არიან, მესამეც—ისინი არიან; ყოველივე ჩვენი ქვეყნის უბედურება ტყის-მცველების ბრალია... კაცს რომ ჩალის მოჭრის ნება არა ჰქონდეს, რომელიც ტყუილათ ლპება ჭაობიანს ადგილებში, აყროლეს იქაურობას და ჰფენს მთლად გარემემო ციებ-ცხელებას, აბა საწყალმა კაცმა, რიღათი უნდა შეინახოს სახლი და ცოლ-შვილი!?..

მე რასაკვირველია, საბუთებით დავუწყე ლაპარაკი და ვუთხარი: აქ ტყის-მცველნი რომ არ იყვნენ, თავათ სულ გამოლეულია ტყეები და მაშინ ძირიანათ ამოავდებენ; ყოველივე უბედურება უტყეობიდგან წარმოსდგება: ჰაერის გაფუჭება, მდინარეების დაპატარავება, წყაროების დაშრობა, გვალვა.

მერე ტყის მცველები იმაგრებენ ტყესაო მიპასუხა იმან: აბა ამ ჩვენ პატარა ტყეს ვადახედე; შენ კარგათ გახსოვს, ვიდრე ტყის მცველები არ იყვნენ არ ნაირათ ვინახამდით; ახლა, ტყის მცველების ხელში, სახრეც აღარ მოიჭრება; იმათ ტყეები კი არ გააშენეს, გადააშენეს. ეს კიდევ არაფერი, უნდა ნახო ალაზნის ველის ის უდიდესი და თვალ გარდაუწდომელი, დიდროვანი ჭალები; ისე გაჩეხეს და ამოაგდეს—რომ ამ რამდენსამე წელიწად შემდეგ, ვგონებ სახნავის მეტი აღარა იყოს რა.

მე ამაზედ ვუპასუხე: ისევ თქვენი ბრალი არის, მაგ ტყეების აგრე წახდენა მეთქი; ტყის მცველთ ტყეები რათ უნდათ; ისინი ხომ არა ჰკაფენ?!

Dიახ! ტყის მცველთ ტყე სრულიათაც არ უნდათ, მაგრამ, ფული კი ძალიან გულით უნდათ, მიპასუხა იმან, ეს ტყის მცველი ვარო, ეს პოლესოვჩიკი ვარო, ობიეზჩიკი ვარო; დღე და ღამე არ გააჩნიათ: სწორეთ მისწრებაზედ არიან, ვინ ბევრს გამოატაინებს და მოაპარვინებს; გლეხებს აპარვინებენ შეშასა და ქრთამებს იღებენ; ჩვენ რომ ჩვენს ნებაზედ გვქონდეს ტყე მოცემული რიგზედ გავიწილებდით, რიგზედ მოვჭრიდით და ერთის ხიდგან რაც მასალა და შეშა გამოვიდოდა სულ ტოტებიანათ წამოვიღებდით; მაგრამ, ეხლა ქურდობით გამოგვაქვს, გვეჩქარება, ღამე გამოგვაქვს; ერთი ხე რომ მოვჭრა, იმის გარდაქცევაში სიჩქარით ათს სხვას მოვატეხინებ, გამოვსჭრი ერთს პატარა კუნძს, რაც მინდა და დანარჩენს მთლად იქ დავაგდებ. ჭერ ის მოჭრილი და დამსხვრეული ხეები ფუჭდება და ლპება, შემდეგ კიდევ ახალ ხეების ამოსვლას უშლის და, თუგინდა კიდეც ამოვიდეს იმ ნამსხვრევში, სწორე გამოსადეგ ხეთაც აღარ იზდება. აი ტყეებს რა აფუჭებს და არა თავის წესზედ ჭრა! Iმ დალოცვილს ხელმწიფეს, რაც ამ ტყეებიდგან შემოსავალი აქვს, ისევ ნეტავი ჩვენ სახელმწიფო ხარჯზედ დაუმატოს და ჩვენი ტყეების პატრონათ ისევ ჩვენვე გაგვხადოს; მაშინ არც ხალხი დაიღუპებოდა და არც ასე რამდენიმე პირი ტყის მცველნი და იმათი თანაშემწენი აშენდებოდნენ. აბა მაშინ ენახათ ტყეებიც უკეთეს ყოფაში იქნებოდა თუ არა? Tუ ეგ სულ მართალია, რასაც ამბობ, ტყის ზედამხედველი (რევიზორი) რაღას აკეთებს მეთქი? კარეტით მობრძანდება ხოლმე და დიდ საურმე გზაზედ აივლის და ჩაივლისო. აბა იქიდგან განა რა ტყეს გაშინჯამს და შეამოწმებსო. ტყეში ისინი თავის დღეში

---

ამ ნაირ ადამიანის გონების დამბნევი მიზეზებით სავსე გულს და თავს ატარებს და არ იცის—სად!..

ზოგიერთ სოფლებში ვნახე ოსმალოსაკენ მიმავალი ხალხი; მიდიან და სტოვებენ მამა-პაპეულ ნაამაგარ სახლკარს; მანამ არ მოეფარებათ სახლი თვალიდან, უკან-უკან იხედებიან და თითო უკან მოხედვა და გაწყობილი სახლ-კარის დატოვება ჰგვრის გულში ცეცხლს და თვალებზე მწარე ცრემლს. Iსე თავიანთ ნაცნობებს და ნათესავებს არ ემშვიდობებიან და არ ეხვევიან გრძნობით, როგორც დატოვებულ სახლ-კარს, მიწა-წყალს, ხეებს...

აქვსთ საწყლებს ცოტა კიდევ ის იმედი, რომ იქნება ალლაჰმა ცის გორბალი სხვა ნაირათ დაბრუნოს და კიდევ დაბრუნდებიან თავიანთ საყვარელ მიწა-წყალში; ბევრიც ამ იმედით ყველაფერს უძრავს ხელ-უხლებლათ სტოვებს, არაფერს ჰყიდის და ისე მიდის...

ვისაც ამ უბედურ ხალხისათვის გული შესტკივა და იცის ამათი გარემოება, ყველა დაგვეთანხმება, რომ იმ სახელმწიფოს, რომელმაც კაცთმოყვარეობისათვის და ხალხის ბარბაროსების ხელიდამ დახსნისათვის უკანასკნელათ ასი ათასობით მსხვერპლი შესწირა, სულ ადვილათ შეუძლია იმდენ უბედურ ხალხს უბედურების გზაზე გადეღობოს და არ მისცეს გზა უფსკრულში ჩასაცვინათ!

ვითომ რათ იქნება შეუძლებელი, რომ ევროპის სახელმწიფოებს წარუდგინონ ის პროკლამაციები, რომლებიც, როგორც ისმის, ხელშიც ჩაუგდიათ, რომლითაც ხალხს აქეზებენ და აბრიყვებენ, რომ გადმოდით, რუსეთის სახელმწიფოში ნულარ დადგებით, თორემ მაჰმადი შვილათ არ მიგიღებსთო და სხვა ამ ნაირი სისულელეები?.. ვითომ რათ იქმნება შეუძლებელი და გასაკვირვი, რომ ევროპის სახელმწიფოებმა—კარგათ მცოდნემ Oსმალეთის შინაგან ეკონომიურ საქმებისა—აღუკრძალონ Oსმალეთს ამ გვარი მოქმედება და ხალხის დაღუპვა? Tუ ოსმალეთის მთავრობა ვერ გრძნობს და ხედავს თავის ნაკლულევანებას და მდგომარეობას, ნუ თუ ევროპის სახელმწიფოები ვალდებულნი არ არიან უჩვენონ იმას, რომ თავის-თავად არსებობაც უჭირს, არა თუ ამ ნაირი ათასობით გაღატაკებული ხალხისათვის, ადგილისა და საშუალების მიცემა შეიძლონ?!

რადგან Oსმალოს მთავრობა ჩვენ ახალ შემოერთებულ ადგილებიდამ გადასახლებულებს მომატებულ ნაწილს ახალსვე სამზღვრებზე აბინავებს, ამის გამო ჩვენ უნდა გავიხსენოთ ჩერქეზეთიდამ გადმოსახლებული ჩერქეზები ამ უკანასკნელ ომში, რომლებიც თავ-განწირულებით იბრძოდნენ არა იმისათვის, რომ Oსმალოს სარწმუნოება და სახელმწიფო დაეცვათ, არამედ იმისათვის, რომ იმათ ჰქონდათ გულში ცეცხლი და ახსოვდათ თავიანთ სამშობლოდან განდევნამ რა ბედი მიანიჭა!

სამზღვრებზე ამ ნაირის ხალხის დაბინავება უომოთაც არ მოგვასვენებს და ყოველ დღე კაცის-კვლა და ცარცვა იქმნება.

ეს უნდა ახსოვდეს ყველას.

გრაზანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შებრძანდებიანო; კარეტა ტყეში ვერ გაივლის, ცხენზედ ჩვეულნი არ ბრძანდებიან, და, როგორც იცით, ტყეში ნამი და ნოტიოა, აწყენთ; ისე ხელით გზიდგან შეამოწმებენ. არც ისეთი სულელები არიან ჩვენი აბიეშჩიკები, რომ იმათაც ხალხს გზის პირზედ მოაჭრევინონ და შიგნით შუაგულ ტყეში კი ვინ დაზღევს, ან მნახავი ვინ არის...

ამ ლაპარაკის დროს ერთმა ცხენოსანმა კაცმა ბატკანი ჩამოატარა. მე ვთქვი: შეთუოთ ეს ბატკანი სააღდგომოთ პატარძალთან მიჰყავთ-მეთქი. ხალხმა გაიცინა: „დიახ, პატარძალთანაო“. მაგრამ, ეგენი ისეთი პატარძლები არიან, რომ ველარ გაეთხოვეთო! ბერიკაცმა ამიხსნა ის პატარძლები ჩვენი დამლუპავი პოლესოვჩიკები არიან, რომლებზედაც ეს იყო ეხლა ვჩივოდით. უნდა მოგახსენოთ ეგ ორნი ძმანი, მარზანელ შუშაშვილებს მოგახსენებენ, ნამდვილი გვარი კი ქაჩიაშვილები არიან, სწორეთ ბატონებათ გაგვიხდნენ და არა პოლესოვჩიკებათ. ბატკანს ვინა ჩივის, ნეტავი ხარებსაც არ გვართმევდნენ. იმ დალოცვილმა ხემწიფემ ბატონ-ყმობა გარდაგვალო და ეგ შუშაშვილები კი ბატონათ დაგვისხა. აქ გლეხებმა სათითაოთ ჩამოსთვალეს ვის მიუცია ან მოზვერი, ან სხვა ქრთამი, ან ვინ დაუსჯიათ ქრთამის მიუცემლობისათვის.

მე ვკითხე ხალხს, გიჩივლიათ ტყის მცველთან თუ არა-მეთქი. იმათ ერთხმათ დაიძახეს, თუ გვიჩივლია, ძრიელ სამართალს არ გადაგვიჭრიდენ; ლესნიჩი ამბობს ჩემი დაყენებულები არ არიან და ვერც დავცვლიო და არა სცვლის იმიტომ რომ შუშაშვილები რევიზორის ბამრეკელოვის ძიძის შვილები არიან. ისე რომ არ იყოს ეგ შუშაშვილები ვერც მაგთენს საქმეებს ჩაიდენდნენო, გზაზედ ურმებს გვიწვენ, ღვედებს გვიჭრიან, ურმის თვლებს გვიჩეხენო; ალბათ ზურგი მაგარი აქვთ, რომ აგრე უდიერათ გვექცევიან. მიდრე ამ ალაგებს იშოვიდნენ, გლახებს ჰგვანდნენ, ეხლა დართულები, ვერცხლით მოჭედილნი დადიან და ისეთ ბედაურ ცხენებზედ სხედან, რომ ღმერთმა შეარცხვინოს იმათთან კარგი შეძლე თავადის შვილი. ჯამაგირი იმდენი რა ეძლევათ, რომ აგრე იპამპარონ. განა მარტო შუშაშვილები,— ყველა ტყის აბიეშჩიკები უწინ ყოვლად ლატაკები იყვნენ, ახლა დიდი ბეგები გაგვიხდნენ. ხათაბალა ეს არის გინდა მოვიდეს ისევ ტყის ჩინონიკი მოვა და აბა რას გაამტყუნებს! ნათქვამია: „მღვდელმა დიაკვანი მოწმათ მოიყვანაო“.

ბატონო რედაქტორო, უნდა მოგახსენოთ, რაც შეეხება შუშაშვილების დაყენებას და იმათ ბამრეკელოვისგან მფარველობას, მე ამაზედ დარწმუნებით ვერას ვიტყვი, მაგრამ, დანარჩენზედ კი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ხალხის საჩივარი ნამდვილი გახლავთ. არ იქნებოდა ცუდი, რომ ოლქის მთავრობას ამაზედ რაიმე განკარგულება მოეხდინა და ნამდვილათ აღმოეჩინათ დამნაშავენი. საწყალი ქიზიყელები ყოველთვის ამ მწუხარებაში არიან და ამათვე ამტყუნებენ, ბუნტობენო, ბრიყვები არიანო... არ არიან ბრიყვები და „ბუნტოვჩიკები“, მაგრამ . . . . . . . . .

მაღაროელი.

## საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება

1879 წ. 15 მაისიდამ 1880 წ. 15 მაისამდე

### საზოგადოების წევრნი და მმართველობა.

საზოგადოებაში ირიცხება 245 წევრი. ამ რიცხვიდამ: 122 დამფუძნებელია, 123 ნამდვილი.

(შემდეგი *)

### შკოლის მასწავლებელთ მომზადება.

საზოგადოების მმართველობამ პირველშივე განაცხადა სურვილი, გამოზარდოს გორის სამასწავლებლო სემინარიაში რამდენიმე ყმაწვილი, რომელნიც საზოგადოებას პირობით შეეკვრიან იმსახურონ საზოგადოების შკოლებში ექვსი წელიწადი, კურსის შესრულების შემდეგ. ეს სურვილი მმართველობისა, ზოგიერთა მიზეზების გამო, ვერ ასრულდა ამ წლის თებერვლამდის. 9 თებერვალს მმართველობამ, თანხმად გორის სამასწავლებლო სემინარი-ს დირექტორის დ. დ. სიმიონოვის რეკომენდაციისა და განგებ ამის თაობაზე გორში გაგზავნილის ნ. ზ. ცხვეთაძის მოხსენებისა მიიღო საზოგადოების სტიპენდიანტებათ ხუთი მოწაფე ხსენებული სემინარიისა: ლ. ქვიქინაძე, ე. ოდიშელიძე, დ. ქერესელიძე, დ. შირცხალავა და ბ. ჭილაძე. თითოეულმა მათგანმა მისცა მმართველობას ხელშეკრულობის წერილი ბატ. დირექტორის ხელ-მოწერილი და სემინარიის ბეჭდით დამოწმებული, იმსახუროს საზოგადოების შკოლაში ექვსი წელიწადი.

ამ სტიპენდიანტებისთვის პირველი ექვსი თვის სარჩო, იანვრიდამ დამოკიდებულო ივლისამდის, ოთხას ორმოცდა-შვიდი მანეთი, უკვე გაეგზავნა გორის სემინარიის მმართველობას. ამას იქით თითო სტიპენდიანტის შენახვა დაუჯდება საზოგადოებას 130 მანეთი წელიწადში.

8 მარტს, მმართველობამ ერთი სტიპენდიანტი კიდევ მიიღო, ალექსანდროვის ინსტიტუტთან საქალაქო შკოლის მოსწ. მეგრელი სამურზაყანოდამ ტ. კონსტანტინოვი, რომელიც ეხლა კურსს ასრულებს.

ამ ყმაწვილმა მისცა საზოგადოების მმართველობას ხელშეკრულობა მომავალს სეკტემბერში შევიდეს გორის სამასწავლებლო სემინარიაში და შემდეგ იმ სემინარიის შესრულებისა ემსახუროს საზოგადოებას ექვსი წელიწადი. 1 სეკტემბრამდის კონსტანტინოვს ეძლევა თვეში თუთხმეტი მანეთი, რადგან არავითარი სახსარი ცხოვრებისა არა აქვს.

ამას გარდა, რადგანაც მასწავლებლები ძლიერ საჭირონი არიან როგორც ახლად გასამართ შკოლებისთვის, ისე იმათთვისაც, რომელნიც უკვე გამართულნი არიან და ეს სტიპენდიანტები არც სამყოფნი არიან და არც მალე მოეშველებათ შკოლებს, მმართველობამ განიზრახა პედაგოგიურ კურსების გამართვა თბილისში. ამ პედაგოგიურ კურსებში, რამდენსამე თვეს შეიძლება საკმაოთ მომზადდეს სხვა და სხვა სასწავლებლებიდამ გამოსული მოწაფეები, რომელნიც ისურვებენ სოფლის შკოლაში სწავლებას. ჯერ ხანათ მმართველობამ შეაყენა ამ გვარი კურსების გამართვა, რადგანაც მათი გამართვის პროექტი, რომელიც მმართველობას წარუდგინა ნ. ზ. ცხვეთაძემ არ ეთანხმებოდა „დროებით კურსების გამართვის რიგს სახალხო განათლების მინისტრისგან დამტკიცებულს (5 აგვ. 1875.). მაგრამ, როდესაც ეს პროექტი სრულიად შეთანხმდება ამ „რიგთან“, მმართველობას სახეში აქვს გამართოს ეს პედაგოგიური კურსები.

### სახელმძღვანელო წიგნებზე ზრუნვა და პრემიის დანიშვნა.

საზოგადოების წესდების მეორე § ვალად სდებს საზოგადოებას მიაქციოს ყურადღება სახელმძღვანელო და სხვა წიგნების გამოცემას.

მმართველობამ, სცნოს რა ნაკლულევანება ქართულ ენაზე შედგენილ სახელმძღვანელოთა საჭიროთ დაინახა დაენიშნა პრემია პირველ-დაწყებითი კურსის წიგნთა შედგენისთვის. პრემია დანიშნა მმართველობამ 9 თებერვალს და გამოაცხადა „დროებაში“. პრემია არის დანიშნული შემდეგის საგნებისთვის:

150 მანეთი პირველ - დაწყებითი არითმეტიკის შედგენისათვის.

300 მ. გეოგრაფიის პირველ-დაწყებითი კურსის შედგენისთვის.

300 მ. საქართველოს ისტორიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

200 მ. ბუნების მეტყველებიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

კონკურსისთვის დანიშნული წიგნები მმართველობას უნდა წარუდგინონ 1 თებერვლამდე 1881 წლისა.

მმართველობას მოუვიდა რამდენიმე საყმაწვილო წიგნები იმ პირობით, რომ თუ სასარგებლოთ დაინახამდა, დაებეჭდა თავის შკოლებისთვის. ზოგი ამ წიგნთაგანი განიხილა მმართველობამ და არა სცნო ღირსათ დაბეჭდვისა. ზოგი კი ჯერ ცალკე კომისიის ხელშია და მმრათველობას არა გადაუწყვეტია რა.

### წიგნებისა და შკოლებისთვის სახმარ ნივთების დეპოს გამართვა

რადგანაც საზოგადოების მმართველობას ყოველ წლივ დასჭირდება გაგზავნოს სოფლის შკოლებში სწავლისათვის საჭირო ნივთები და თბილისში ძრიელ ძვირათ დაუჯდებოდა ამ ნივთების აქაური ვაჭრებისაგან ყიდვა მმართველობამ გადასწყვიტა თვითონ იქონიოს დეპო წიგნებისა და სწავლაში სახმარ სხვა და სხვა გვარ ნივთებისა, აღებ - მიცემობის წესით.

ამ დეპოდამ უნდა უგზავნოს წიგნები სოფლის შკოლებს ღარიბ მოსწავლეთათვის უფასოდ დასარიგებლად და ყიდოს კიდეც. მმართველობა ფიქრობს რომ თუ ექნება დეპოში ყოველგვარი სამოსწავლო ნივთი და თუ გაჰყიდის სხვა ვაჭრებზე უფრო იაფად რამდენიმე პროცენტით შეიძლება, არამც თუ უგზავნოს ყოველ წლივ წიგნები და სხვა ნივთები სოფლის მოსწავლეთა უფასოთ დასარიგებლათ, არამედ სარგებლობაც იქონიოს.

მმართველობის გამოანგარიშებით დეპოს გამართვისთვის საკმაოა ექვსი ათასი მანეთი, რომელიც უკვე გადიდვა, ამ საგნისათვის. ეხლა არის გამართული მიწერ-მოწერა რუსეთისა და სამძღვრის გარეთელ წიგნების მაღაზიებთან, რომ რაც შეიძლება ყოველივე ეს იაფად დაისოს.

### საზოგადოების ბიბლიოტეკის გამართვა.

საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა ბიბლიოთეკის გამართვა საზოგადოების წევრთათვის და საყოველთაო საკითხავად. რადგანაც წესდების საზოგადო აზრით ბიბლიოთეკა, რომელიც სახეში აქვს წესდების მეორე §, უნდა იყოს, უმეტეს ნაწილათ მაინც შემდგარი ქართულის წიგნებისგან და ქართული წიგნები კი უფრო უმეტესად ხელ-ნაწერები არიან და დღითი დღე თან-და-თან იკარგებიან, საჭირო იყო მმართველობა ეხლავე შესდგომოდა ამ ბიბლიოთეკის გამართვას და შეეკრიფა ერთ ადგილს ეს ქართული ძველი და ახალის ლიტერატურის ნაწარმოები. მმართველობას იმედი აქვს, რომ ყოველი წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა აღმოუჩენს წიგნების შემოწირვით შემწეობას.

ამ ბიბლიოტეკისთვის მმართველობამ შეადგინა დროებითი წესი, რომელიც მალე დაიბეჭდება აქაურ გაზეთებში.

(დასასრული შემდეგში)

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ზემოთ მკითხველი წაიკითხავდა სტამბოლიდამ მიღებულ ტელეგრამმას, რომელიც გვაცნობებს ოსმალეთის სამინისტროის ცვლილებას: საიდ-ფაშის მაგიერად მინისტრების თავმჯდომარედ დაუნიშნავთ ქადრი-ფაშა და უცხო საქმეთა მინისტრის სავას-ფაშის წილ აბბედინ-ფაშა. ეს ცვლილება როგორც ჰავასის სააგენტოს“ აცნობებენ სტამბოლიდამ,

*) „დროება“ № 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის სახელმწიფოთ კომმისიას უნდა მიეწეროს, რომელსაც ერთს თავისი სხდომის დროს მიუღია ამ რიგი გარდაწყვეტილება.

—

„*Temps*“-ის ვენელი კორრესპონდენტი იწერება, რომ მომავალს კონფერენციას მინდობილი ექმნება მარტო საბერძნეთის საზღვრის საქმის განხილვაო. რადგანაც ეს კონფერენცია შუამდგომელი იქნება ოსმალეთის და საბერძნეთის შორის, ამიტომ ეს უკანასკნელნი გამორიცხულნი იქნებიან კონფერენციიდამ.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ინგლისის ადრინდელ ელჩი ლეიარდი აქედამ უკვე წავიდაო; ხონთქარს უნახულებია ახალი ელჩი გოშენი.

მითჰად-ფაშას რომელიც სირიაშია ვალი-ფაშად (ღუბერნატორად), სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი მიუცია ხონთქარისათვის, მაგრამ ამას არ მიუღია.

—

ნახვის დროს ხონთქარს უთქვამს გოშენისათვის, ჩემი სურვილი ის არისო, რომ საჭირო რეფორმები მოვახდინოვო ოსმალეთში.

—

იტალიური გაზეთის „*Diritto*“-ს სიტყვით, სამინისტროს განზრახვა აქვს პალატებს კანონ-პროექტი წარუდგინოს, რომელშიაც გარკვეული იქნება სხდომების და საზოგადოებათა შედგინების შესახებ კანონი. გაზეთი ამბობს, რომ ეს პროექტი დაიცავს სხდომებს და საზოგადოებათა განმგეობის და სამოსამართლო უწყებების თვით-მნზეელობისაგან.

# განცხადებანი

**ქუთაისის გიმნაზია** აცხადებს, რომ თანახმად ნებართვისა უფ. კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლისა, შემდეგის 1880—1881 აკადემიური წლიდგან, სწავლის სიმართლისათვის შემოსატან ფულს მოემატება, გიმნაზიის სპეციალური საშვალებების ნაკლულოვანებისა გამო და და დაინიშნება: პირველ-დაწყებით კლასში წელიწადში 16 მანეთი, პროგიმნაზიის კლასებშიდ 20 მანეთი და გიმნაზიის კლასებშიდ 26 მანეთი.—

(3—1)

**იაგორ კასუმოვის** და კომპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად.**

(10—2)

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**სამმართველო ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების 18 § ძალით, 30 ივნისს მიმდინარე 1880 წლისა, დილის თორმეტ საათზედ, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდულ იქმნებიან, ვაჭრობის განუმეორებლად, ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვე აღნიშნულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადის მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვე მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების 19 §-სამებრ, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან განცხადებაზედ ხარჯებს.

| გვარი, სახელი და მამის სახელი ბანკის მოვალეთა. | რა გვარი მამულია და ან მიწა ზომით რამოდენია. | სად მდებარეობს მამული | თავნი ვალი. | | შემოუტან. გადასახადი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მანეთი | კაპ | მანეთი | კაპ |
| ხელთუფლიშვილი, ბესარიონ ანდრიას-ძე, კოლლეჟსკის ასესორი | 12 ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები და მათ ქვეშ მიწა, 159 კვად. საჟენი. | ქუთაისს, ბაზრის და ფრანგების ქუჩებს შუა. | 3,000 | „ | 99 | 76 |
| იგივე | ოთხი ხის ერთ-სართულიანი დუქნები, 442 კვად. საჟენი ეზოით. | ქუთაისს ორპირის და ლაზარეთის ქუჩაზე | 1,625 | 36 | 161 | 54 |
| იგივე | სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატინი 360 კვად. საჟენი. | ბანოჯის აგარს ქუთ. უეზდისა. | 1,180 | 59 | 77 | 84 |
| ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასული, აზ. | ეზო, ვენახი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატინი 1,500 კ. საჟ. | სოფ. ლახუნდარას შორაპნის უეზდისა | 3,935 | 30 | 192 | 20 |
| მდივნები: ტარიელ და სამსონ მიხარ. ძენი, აზ. | ტყე და სახნავ-სათესი. 13 დესიატინი 337 კვად. საჟ. | სოფელს ვაკის უბანს ქუთ. უეზდისა. | 394 | 70 | 40 | 93 |
| აბაშიძე, ქაიხოსრო გიორგის ძე, თავადი. | ეზო, ვენახი, სახნავ-სათესი, სამოვარი და ტყიანი ადგილები, 130 დესეტ. 852 კ. საჟ. | სოფ. ლაშეს შორაპნის უეზდისა. | 6,926 | 77 | 311 | 80 |
| ზედგინიძე, ივანე იოსების ძე, ნად. სოვეტ. | ორ-სართულიანი ქვით-კვით-კირის სახლი, 154 კვადრ. საჟ. ეზოით. | ქუთაისს მიხეილის ქუჩაზედ. | 11,964 | 70 | 805 | 80 |
| ტყეშელაშვილი, სოფრომ სიმონის ძე, გლეხი | ორ-სართულიანი (ძირს ქვით-კირისა ხოლო ზედა ხისა) სახლი, 700 კვად. საჟ. ეზოით. | ქუთაისს ალექსანდრეს სლობოდკის მესამე ქუჩ. | 460 | 20 | 57 | 77 |
| მხეიძე, სიმონ ხალილას ძე, აზ. | ხის სახლი და ხის დუქანი, 248 კვად. საჟენი ეზოით. | ქუთაისს, მესხეთის ქუჩაზე. | 387 | 82 | 37 | 26 |
| ბაქრაძე, ბიჭია გიორგის ძე, აზ. | სახნავ-სათესი, 15 დესეტ. | სოფ. ქვაშხეთს, რაჭის უეზდისა | 1,480 | 9 | 78 | 60 |
| ბაქრაძე, დარისპან ბეჟანის ძე, აზ. | სახნავ-სათესი, 3 დესიატინი 700 კ. საჟ. | სოფ. ბიდას, შორაპნის უეზდისა | 197 | 92 | 32 | 44 |
| ძაჯაია, გიორგი ტარიელის ძე, აზ. | ეზო, ვენახი და ტყე, 7 დესიატინი 800 კვადრ. საჟენი | სოფ. ჯაგანს, ქუთაისის უეზდისა | 885 | 44 | 67 | 89 |
| ნიჟარაძე, მიხეილ დიმიტრის ძე, თავადი. | ეზო და სახნავ-სათესი: 19 დესიატინი 2,052 კვადრ. საჟენი. | სოფ. ზედა-მაღლაკს, ქუთაისის უეზდისა | 789 | 42 | 48 | 92 |
| ბაბაშვილი, მაქსიმე გიორგის ძე აზ. | ორი ნაკვეთი მიწა, 2 დესიატინი 708 კვადრ. საჟენი. | ქუთაისს, ზემედაზე. | 2,000 | „ | 99 | 80 |
| ნინიკაშვილი, სიმონ თომას ძე, გლეხი. | ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები, 192 კვადრ. საჟ. | ქუთაისს, ლაზარეთის ქუჩაზედ. | 1,200 | „ | 134 | 76 |
| ელიაშვილი, იოსებ და აბრამ შამელას ძენი, და ბოთერაშვილი, აბრამ დანიელის ძე, ებრაელნი. | სახნავ-სათესი, 347 დესეტ. 500 კ. საჟ. | სოფ. ჯუუშურს ქუთ. უეზდისა | 25,728 | 6 | 1,117 | 40 |
| ჭაჭიაშვილი, სიმონ გიორგის ძე, აზ. | ვენახი, სახნავ-სათესი, ტყე და ეზო 177 დესეტ. 391 კვადრ. საჟ. | სოფ. არგვეთს, შორაპნის უეზდისა. | 6,926 | 77 | 263 | |
| ბაქრაძე, კონსტანტინე კაციას ძე, აზ. | ვენახი და სახნავ-სათესი, 5 დესეტინი 2025 კვად. საჟენი. | სოფელთ: ფარახეთს და კრიხს, რაჭის უეზ. | 1,691 | 37 | 87 | 8 |
| მიქაძეები: ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, სიმონ და ბეჟან სიმონის ძენი, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის ძენი, და ეკატერინა პეტრეს ასული, თ. | სახნავ-სათესი და ტყე 1463 დესიატინი | სოფ. ჯალადიდს სენაკის უეზდისა. | 14,843 | 10 | 448 | 84 |
| მიქელაძე, ვალერიან და გიორგი ბეგლარის ძენი, თავადნი. | ეზო; სახნავ-სათესი და ტყე. 23 დესიატინი 1104 კვად. საჟ. | სოფ. კულაშს, ქუთაისის უეზდისა. | 4,676 | 15 | 214 | 28 |
| ლოლობერიძე, გიორგი ბესარიონიძე. აზ. | ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი მაღაზიები. 276 კ. საჟ. ეზოით. | ქუთაისს, მიხეილის ქუჩაზე. | 16,795 | 31 | 1,132 | 75 |
| ბურჯანაძე, ივანე ანდრიას ძე, გლეხი. | ხის ერთ-სართულიანი სახლი, 213 კ. საჟენი ეზოით. | ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზე. | 387 | 82 | 37 | 26 |
| იოსელიანი, კონსტანტინე იესეს ძე, აზ. | ერთ-სართულიანი ხის სახლი, 344 კ. საჟენი ეზოით. | ქუთაისს, ორპირის ქუჩაზედ. | 1,144 | 36 | 128 | 59 |

ვაჭრობა დაიწყება თავნი ვალიდამ შედდამატებით სხვა-და-სხვა გადაუხდელის ფულისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვის ხარჯებისა და საზოგადოდ ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის თავნის ხანგრძლივის ვალისა მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივი ფასისა მებრ—მანეთი მანეთად; ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდ ფულად.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 15-ის ივლისისათვის მიმდინარე წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი